№ 235 ნოემბერი 8, სამშაბათი 1888 ნოემბერი 8, სამშაბათი № 235

გაზეთი ღირს

თვეე	მან. კ.	თვეე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი „ივერია“ პირველ ნოემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 2 მ. 75 კ.

ტფილისი, 7 ნოემბერი

განსაკუთრებული და უმთავრესი თვისება თვითოეულის კეთილად მოწყობილის საზოგადოებისა ის არის, რომ ამ გვარს საზოგადოებაში საზოგადო ცხოვრება, აზრი, მწერლობა თანდათან იზრდება, ფრთას ისხამს და წინ მიდის აუჩქარებლად, მაგრამ მტკიცე და სწორის ნაბიჯით. ამ გვარს საზოგადოებაში ყოველს აზრს საზოგადოებისას ფართო გზა ეძლევა, ყოველს საჭიროებას ყურადღებით და გულ-დასმით ეპყრობიან და ამიტომ საზოგადოება უფრო ნათელი და გონება დამჯდარია. ეს გარემოება შესაძლოა შევნიშნოთ თვითოეულ დაწინაურებულ საზოგადოების ცხოვრებაში და იგი შეადგენს უმთავრესს პირობას ადამიანთა წარმატებისას. პირ-იქით, იქ, სადაც ეს პირობა ნაკლებად არის დაცული, სადაც საზოგადო აზრს, მწერლობას შესაფერი სარბიელი არა აქვს დამკვიდრებული, იქ საზოგადოების ცხოვრება უფერულია, საზოგადო აზრი მკრთალია, საზოგადო საჭიროება გამოურკვეველი და პატივ-აყრილია.

ეს აზრები შეუძლებელია კაცს თავში არ მოუვიდეს, როდესაც ჩვენს ვითარებასა და ყოფა-მდგომარეობას ჩაუკვირდება და ზემო აღნიშნულის აზრით გაზომავს სიღრმე-სიგანეს ჩვენის ცხოვრებისას, აზრისას. შეადარეთ ჩვენი ცხოვრება რომლისამე დაწინაურებულის საზოგადოების ცხოვრებას და ნათლად დაინახავთ, რომ ჩვენი ცხოვრება და აზრი მეტად დაქვეითებული და უკან ჩამორჩომილია. ის, რაიცა სხვა დაწინაურებულს საზოგადოებას ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი და საზოგადო მცნებად აქვს აღიარებული, ჩვენში მკრთალი და ხორც-შეუსხმელია. ის კიდევ არაფერი, რომ ეს მკრთალი აზრი იზრდებოდეს და მატულობდეს, გზა ეძლეოდეს და აზრი საქმედ იქცეოდეს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ აზრი აზრად რჩება და ამიტომ სიცხოველე და ძალა აკლდება. ჩაუკვირდით ჩვენს მწერლობას, რომელიც ცოტათი მაინც ჰხატავს ჩვენს საზოგადო აზრს, და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენი აზრი მეტად ვიწრო წრეშია მოქცეული და ჯერ კიდევ ვერ ასცილებია ელემენტარულს საგნებს ადამიანთა ცხოვრებისას, იმ საგნებს, რომელთა შესახებ ლაპარაკი და ბაასი სხვა დაწინაურებულს საზოგადოებაში სასაცილო იქნებოდა. ეს ნაკლი ჩვენის საზოგადო აზრისა და მწერლობისა იმდენად მწერლობის ბრალი არ არის, რამდენად სხვა-და-სხვა გარემოებისა, რომელსაც არავითარი ნათესაობა არა აქვს აზრისა და მწერლობის ბუნებასთან. ეს გარემოება მეტად დაჰმჩნევია ჩვენს აზრს და ეს არის იმისი მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ეგოდენად უფერული და მკრთალია, საზოგადო აზრი ეგოდენად მჭლე და უძლურია. ეს ოც-და-ხუთი წელიწადია ჩვენი აზრი ერთსა და იმავე წრეში ტრიალებს, ერთსა და იმავე საგნებს უთვალყურებს, ერთსა და იმავე საგნებს მოძღვრობს, მაგრამ ამ საგნებს ვერა ეშველა-რა. აკე და ამ გვარად ჩვენი ცხოვრება ერთსა და იმავე ადგილზე ეთელება და ჩვენს აზრს სისხლ-ხორცი ვერ შეუსხამს და ამიტომ მუდამ ცხოვრების უფერულებას ვჩივით. ეს ოც-და-ხუთი წელიწადია მწერლობას ნიშანში ამოღებული აქვს ფრიად საყურადღებო და საგულისხმო საგნები, რომელნიც შეადგენენ საძირკველს და ქვაკუთხედს ადამიანის კეთილდღეობისას, მაგალითად, ენა, სკოლა, სამართალი და სხვანი, მაგრამ ვერც ერთს ამ საგანს შესაფერი ადგილი და სარბიელი ვერ დაუმკვიდრებია ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენი ენა ვერ შექმნილა ჯერ-ჯერობით უმთავრეს საძირკვლად ჩვენის წარმატებისა, ჩვენი სკოლა ჯერ-ჯერობით ვერ დამკვიდრებულა ნამდვილს პედაგოგიურს პრინციპზე და ჩვენს სამართალში მთქმელს გამგონი არა ჰყავს. სხვა ბევრი საგანი შეგვეძლო დაგვესახელებინა, მაგრამ ეს სამი საგანიც საკმაოა ჩვენის აზრის გასასურათებლადა და დასამტკიცებლად.

აი, ამ საგნებს დავსტრიალებთ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში და ამ წრეში ვავარჯიშებთ წლიდგან წლამდე, დღიდგან დღემდე ჩვენს გონებრივს ძალ-ღონეს. კიდევ კარგი იქნებოდა, რომ ამ ელემენტარულ საგნების განსახილველად და ბუნების გამოსაძიებლად საკმაო ფართო სარბიელი გვქონოდა დამკვიდრებული, მაგრამ სამწუხაროც ის არის, რომ იმ საგნებისათვისაც მეტად ვიწრო წრე გვქონდა შემოფარგლული და საზოგადო აზრს საშუალება არა ჰქონდა საკმაოდ მომწიფებულიყო და ფრთა შეესხა. ერთის სიტყვით, ჩვენ იძულებულნი ვიყავით იმ საგნებს ჩავჭიდებოდით, რომლებიც სხვაგან დიდი ხანია ხორც-შესხმულია და შეურყეველ მცნებად აღიარებიათ.

აქედგან ცხადია, რომ აზრი და ცხოვრება, ერთსა და იმავე და ვიწრო წრეში მოქცეული მთელის ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში, ვერ გაძლიერდებოდა და ვერ აყვავდებოდა; ერთსა და იმავე წრეში ვარჯიშობა კაცს შესაფერს ძალას ვერ შესძენს, ხალისს ვერ გაუორკეცებს და საუკეთესო და მანე ნაწილს საზოგადოებისას ნებასა და საშუალებას არ აძლევს თავისი ძალ-ღონე საერთო, საზოგადო საქმეს მოანდომოს და გამოაყენოს; ამ საუკეთესო ნაწილს საზოგადოებისას, შესაფერს ვარჯიშობასა და საქმეს მოკლებულს, გრძნობა-გონება უსუსტდება, ხალისი აკლდება და ამ ნაირად საზოგადოებას ეკარგება ბუნებური ფერი და იერი და სამაგიეროდ ძვალ-რბილში ებუდება გრძნობა-გონების სიმჭლევე და უძლურება.

როგორც ჰხედავთ, სურათი ჩვენის ცხოვრებისა მაინცა და მაინც სანატრელი არ არის, ჩვენი აზრი ჯერ კიდევ ვერ მომწიფებულა და ჩვენს ძალ-ღონეს თავისთვის სარბიელი ვერ დაუმკვიდრებია, უმთავრესად იმისთვის, რომ ძალა-უნებურად მუდამ დღე ერთსა და იმა-

ფელეტონი

გლეხის სიმღერა

აბა შევხედოთ ქვეყანას:
მირს ვაკე, მაღლა მთებია;
ზოგან ხევები, სხვაგან ტყე,
კლდედ მიუვალი გზებია.
რამდენჯერ დავფიქრებულვარ,
გულშიაც ცეცხლი მნთებია;
სხვაზედ ვერაზედ დავმდგარვარ,
მარტო ეს მიფიქრებია:
ღმერთი რო კაცსა გააჩენს
თანვე დაუწერს ბედსაო;
ზოგს მისცემს ბატონობასა,
სხვას-კი დაუხრის ქედსაო,
ვენაცვლე უფლის სახელსა,
ჩვენს დამბადებელს ღმერთსაო!
ღმერთმა დამბადა მუშადა,
იმან მიკურთხა მარჯვენა,
უნდა ვხნა, ვთესო, ვიშრომო
და გამოვკვებო ქვეყანა.
ალალის ოფლით ნაშოვნსა
ლუკმას ვსჭამ გემრიელადა:
ვიცი, რომ ჩემი შრომაა,
ჭაფით მოსული ხელადა;
დაღალულს ქვა რო მაჩმია,
მომეჩვენება ქადადა;
ბედნიერი ვარ, ოღონდ-კი
ქვეყანამ მიცნოს კაცადა.
კაცი ვარ, მენაც კაცი ვარ,
პატკაცი ნამუსიანი;
ცხვარი და ძროხა ბევრი მყავ,
სახნავი სასუქიანი;
ზღვადა დგა ჩემი ყანები,
ყანები თავთუხიანი;
საქრეს ქერი მითესავ,
ქერია ჩარათიანი;
სავსე კოდები მიდგია
ყველიან-კარაქიანი.
ბევრს ამღობს ჩემი მარჯვენა,
მარჯვენა ბარაქიანი!
უფალს ავუნთებ სანთელსა,
გლეხურად შავეხვეწები;
ვიცი გლეხი ვარ, შემინდობს,
თუნდაც დავკლო წესები.
ვერთგულობ მამა-პაპასა,
იმათში მიდგა ფესვები.
სუყველა თავისი მაქვის,
სხვებისას არას ვესები!

ვაჟა-ფშაველა

◆◆

ორი ძმა

(ხალხური არაკი, გაგონილი სოფ. ტბეხრში ნინო თევდორეს ასულის ბეროზაშვილისაგან და ჩაწერილი სამსონ დ. ლონდაძის მიერ)

იყო და არა იყო-რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. არა ჰყავნდათ შვილი. ყოველ ცისმარე დღეს ღმერთს ეხვეწებოდნენ: ღმერთო, ოღონდ ერთი შვილი მოგვეცი, გაგვიჩინე და რასაც გვიბძანებ, იმას აგისრულებთო!

ბევრის ხვეწნისა და ლოცვის შემდეგაც შვილი არ მიეცათ. ადგა უშვილო კაცი და წავიდა წამლის საძებრად. ბევრი იარა, თუ ცოტა, შეხვდა ერთს კაცსა და ეუბნება: გამარჯობა, კაცო!—გაგიმარჯოსო, უპასუხა ამანაც.—კაცო, შვილის გაჩენის წამალი არა იცი-რაო?—ვიციო, უპასუხა უცნობმა კაცმა.—აბა, შენი ჭირიმე, რა წამალს მასწავლიო! ამოიღო კაცმა ჯიბიდგან ერთი წითელი ვაშლი, მისცა და უთხრა: აი, ეს ერთი ვაშლი წაიღე. მიიტანე სახლში, გასჭერი შუაზედ, ნახევარი შენ შეჭამე, ნახევარი შენმა მეუღლემ; ცხრა თვის შემდეგ ორი ვაჟიშვილი გეყოლებათ; იმათ დაბადების შემდეგ ხუთი თვე რომ გავა, მაშინ მოვალ და ერთს იმათგანს მე წავიყვან და ვიშვილებო. უშვილო კაცი ამ პირობაზედ დასთანხმდა. გამოართვა წითლად დაბრაწული ვაშლი, ჩაიდო ჯიბეში და მოიტანა თავისს ოჯახში. როგორც ნასწავლები ჰქონდა, შუაზედ გასჭრა ვაშლი, ნახევარი ამისმა ცოლმა შეჭამა და ნახევარიც თითონ. ვაშლის შეჭმა და ქალის დაორსულება ერთი იყო. გავიდა აღთქმული ვადა და მიეცა ტყუპი ვაჟიშვილი. ყმაწვილები ისეთი ლამაზები და ტანთ მოსულები იყვნენ, რომ იმათი მნახველები ყველანი ჰკვირდებოდნენ. დაბადებიდგან ხუთი თვე გავიდა, მაგრამ ყმაწვილები ხუთის წლისანი გეგონებოდათ, რომ გენახათ. დედ-მამას ძლიერ ენანებათ ორივე შვილი, რადგანაც ხუთმა თვემ უკვე განვლო და ექიმი დღეს, თუ ხვალ მოვა ერთ-ერთს იმათგანს იშველებს და თავისს ქვეყანაში წაიყვანს. ბევრი ილაპარაკეს, ბევრი იფიქრეს და ჯავრის ასაცილებლად შემდეგი ხერხი მოიგონეს: ორი ახალგაზდა, ხუთ-ხუთის წლისა, ლამაზი ყმაწვილები დაიყენეს მოჯამაგირედ და ისე სუფთად ჩააცვეს და დახურეს, როგორც თავიანთს შვილებს. შვილები დამალეს. მაგრამ ამ ხერხმა ჯავრი ვერ მოაცილა დედ-მამას. იმათი ასეთი განზრახვა გამოცხადდა და ყველამ შეიტყო. ექიმმაც იმ წუთშივე სცნო, რომ ის ორი ახალგაზდა ყმაწვილი იმათი შვილები არ იყვნენ. მოაყვანინა დამალული ბავშვები დედმამას, ამოირჩია უფროსი ყმაწვილი შვილად და უთხრა: დღეს მე წავალ ჩემის ქვეყნისაკენ, შენ-კი ჩემს შემდეგ წამოდი, როდესაც შენი სურვილი და ნება იყოსო. ასწავლა რა გზა შვილობილს, ექიმი გამოეთხოვა ყმაწვილის დედ-მამასა და წავიდა...

გახდა რა ყმაწვილი ათი-თორმეტის წლისა, შეაკერინა დედას თეთრი ახალუხი, შეიტანა თავისს ოთახში, ჩამოჰკიდა კარებს უკან, კედელზედ, და მოახსენა დედას შემდეგი: დედა, ეს ჩემი ახალუხი აქ ეკიდოს, თვალყური გეჭიროს. მანამ ახალუხი კედელზე ეკიდება, იცოდე, რომ მე კარგად ვიქნები და არაფერი გამჭირებია; მაგრამ, თუ ძირს ჩამოვარდნილი ნახო, მაშინ იცოდე ნამდვილად, რომ მე უბედურება რამ მწევევია და მიშველეო. დედამ ეს ყველაფერი მოისმინა, დალოცა საყვარელი შვილი და გაისტუმრა თავისი მამობილის, ექიმის სამშობლოში...

ყმაწვილი რომ სახლიდგან გზას გაუდგა, საჭმელი არაფერი წაიტანა. თვე ნახევარი მეტი იარა საწყალმა უსაჭმლოდ გზაში, რადგანაც ვერაფერს საჭმელს ვერსად შეხვდა. იარა, იარა მშიერ-მწყურვალმა და ენახოთ, დაინახავს შორი-ახლოდგან მელორეებსა და ღორების ჯოგს. გაეხარდება მელორეების დანახვა: „მივალ და ცოტა საჭმელს მომცემენ მელორეებიო“, სთქვა თავისთვინ შიმშილით მიმკვდანურებულმა ყმაწვილმა. მშიერმა ახალგაზდამ მოუმატა სიარულს, ღონეც, ცოტა არ იყოს, თითქო მოემატაო, მაგრამ მივიდა თუ არა და ჰნახა, ელდა ეცა და ისევ დასუსტდა შიმშილით: მელორეები და ღორები გაქვავებული დახვდა. დაღონებულ-დასუსტებული ყმაწვილი გაუდგა ისევ გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, დაინახა ცხვრების ფარა და მეცხვარეები; შიმშილით ქანც-გაწყვეტილსა და მიბინარებულს ყმაწვილს მგზავრს ძლიერ გაეხარდა, მაგრამ ტყუილად: მივიდა თუ არა ახლოს, მეცხვარეებისა და ცხვრების მაგივრად მათის მსგავსის ქვების მეტი ვერაფერი დაინახა. ყმაწვილი შიმშილით ძლივსლა დგებოდა ფეხზედ, მაგრამ კიდევ თავისას არ იშლიდა: მიდიოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და საჭმლის შოვნის იმედს არა ჰკარგავდა. საცოდავი შიმშილით ისე გახდა, თავი გაურეტდა, რომ ყველა უსულო საგანი, რომელსაც-კი შორიდგან ჰხედავდა, ცხოველ საგნებად ეჩვენებოდა და მათგან საჭმლის შოვნას ლამობდა. ამ ნაირი ტანჯვითა, ვაი-ვაგლახითა და წვალებით, როგორც იყო, ბევრის სიარულის შემდეგ, შევიდა ერთს ქალაქში. აქ, ქალაქში, როდესაც ყმაწვილი მივიდა, საერთო—საზოგადო სადილი იყო გამართული და მთელი ქალაქის ხალხი ერთად პურსა სჭამდა და დროს ატარებდა. ამ საერთო სადილზედ, რასაკვირველია, ყმაწვილიც მიიწვიეს და ძლიან პატივი სცეს საერთოდ. ბევრის ლხინისა და თამაშობის შემდეგ კიდეც დაღამდა. ყმაწვილმა მადლობა უძღვნა თავისს პურადს მასპინძლებს, ადგა და დაიწყო

ვე ვიწრო წრეში ვტრიალებთ და ერთსა და იმავე ხაზს ვერ გადავსულვართ. მაშასადამე, ჩვენის ცხოვრების წარსამატებლად, ჩვენის ძალ-ღონის გასამრავლებლად და ფერ-იერის შესასხმელად საჭიროა იგი ვიწრო წრე გაირღვეს, საზოგადო აზრს გზა და კვალი მიეცეს და საზოგადო საჭიროებას შესაფერი პატივი მიენიჭოს, ესე იგი ჯერ-ჯერობით საჭიროა ენა, სკოლა და სამართალი დავიმკვიდროთ, ვითარცა ქვაკუთხედი ჩვენის წარმატებისა. ეს იქნება პირველი ნაბიჯი, რომელსაც უნდა მოჰყვეს საზოგადოების გამოფხიზლება და აზრის გაძლიერება. სანამ ამ პირველს ნაბიჯს არ გადავდგამთ, სანამ იმ ვიწრო წრეს არ გავარღვევთ და ერთხელვე შემოვლებულს ხაზს არ გადავცილდებით, მანამდე ჩვენი ცხოვრება წინანდებურადვე უფერული და უღონო იქნება.

სამწუხაროდ, ეს მარტივი, მთელის განათლებულის კაცობრიობის მიერ შეწყნარებული ჭეშმარიტება საკმაოდ შეგნებული და შეთვისებული არა აქვსთ იმათ, ვინც ჩვენის ცხოვრების სათავეში დგანან და ასე თუ ისე ხელთ უპყრიათ ჩვენი ავი და კარგი.

ა. ნა—ლი

ახალი ამბავი

⁂ ტფილისში ამ ორის წლის წინად ზოგიერთებმა განიზრახეს დაარსება „ტფილისის სკოლებში მოსწავლე ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელის საზოგადოებისა". წესდება იქმნა შედგენილი და დამტკიცებული 1887 წ. მას აქედ წევრების შეკრებას შეუდგნენ მოთავენი. 6 ნოემბერს, კვირას, ტფილისის საბჭოს დარბაზში შესდგა პირველი კრება წევრთა, რომელთა რიცხვი 48 იყო. ამ კრებამ ამოირჩია გამგე კომიტეტი: თავ-მჯდომარედ ბ-ნი გ. მ. თამამშოვი, მისს თანაშემწედ—ბ-ნი გარსოევი, ხაზინადრად—ბ-ნი მუტაფოვი, მდივნად—ბ-ნი პ. არღუთაშვილი და სამი წევრი კომიტეტისა ბ-ნნი ა. ღულაძე, გ. ვარძელოვი და ფულინოვი. გარდა ამისა კომიტეტში ამოურჩევლად, თანხმად წესდებისა, უნდა იყვნენ: სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ბ-ნი ხარკოვი და საქალაქო სკოლების გამგე ბ-ნი ბარხუდარიანცი. მეორე კრება დანიშნული იქნება თვით გამგე კომიტეტის მიერ.

⁂ მოგვყავს რამდენიმე ცნობა ტფილისის საბაღოსნო სკოლის შესახებ, რომელიც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გამართა 1 მაისს 1886 წელს. სკოლას აქვს თურმე დღიურზე მეტი მშვენიერი მიწა და კარგა მოზრდილი სახლი. სკოლაში სწავლობს სამოც-და-ათამდე ყმაწვილი სხვა და სხვა ტომისა და წოდებისა. მათ შორის ნახევარი ქართველია, დანარჩენი-კი რუსი, სომეხი, ოსი და სხვანი. სკოლასა აქვს პანსიონი, რომელშიაც 42 ყმაწვილია. თვითოეული პანსიონერი წელიწადში იხდის 120 მანეთს. მოსიარულე ყმაწვილები სკოლაში რჩებიან დილიდგან სალამომდე; ამათ უფასოდ ეძლევათ წიგნები, სასწავლო ნივთები და სადილი. სკოლაში ორი მოსამზადებელი კლასია და სამი სპეციალური. შეგირდები საკმაოდ დახელოვნებულან ბაღოსნობაში და ამიტომ მამულის პატრონები მათ სამუშაოდ იწვევენ თავიანთს მამულებში და შრომის ფასად დღეში აძლევენ ორ-ორს მანეთს.

⁂ პრიკაზის ვალზე ხშირად გაზვიადებული ლაპარაკია და ცოდნით-კი სწორედ არავინ იცის ჩვენს საზოგადოებაში, რამდენი ვალია გადასახდელი. ჩვენ შეგვიძლიან ამ ჟამად დაახლოვებითი ცნობა მოვიყვანოთ, რამდენი ჰმართებს სულ თავენი და სარგებელი ან ქალაქელს მოვალეებსა და ან სოფლელს. ტფილისში დაგირავებულია 1,300 სახლზე ცოტა მეტი, ქუთაისში—80 სახლამდე, ერევანში 20 სახლამდე. სულ 1400 სახლზე მეტია და ამისი ვალია შვიდი მილიონი. სოფლის მამულების რიცხვი ამაზე ნაკლებია, რაც-კი დაგირავებულია მთელ ორს გუბერნიაში, ტფილისისა და ქუთაისისაში, სახელდობრ თითქმის 500 მამულია. ამ ხუთასის მამულის ვალი მილიონ ნახევარზე მეტი არ არის. ამ რიცხვში 350 სათავად-აზნაურო მამულს ამ რამდენისამე წლის წინად შეღავათი მიეცა მთავრობისაგან. ამ სახით მთელი პრიკაზის ვალი გამოდის რვა მილიონ ნახევარი. ვარაუდით ძნელი სათქმელია, სახელდობრ რამდენია ქალაქში თავად-აზნაურთა სახლები, მაგრამ ადვილად მისახვედრია, რომ ბევრი არ არის; ამ სახით მთელი ვალი თავად-აზნაურობისა, ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში, არ უნდა აღემატებოდეს სამს მილიონს.

⁂ 13 ოქტომბერს მილიციის პრაპორჩიკობა მიეცათ ქუთაისის გუბერნიაში: თავ. ალექსანდრე დავითის ძე წულუკიძეს, თავ. ნიკოლოზ ბეჟანის ძეს ჩხეიძეს, სიმონ გიორგის ძეს ჯაფარიძეს, თავ. მელიტონ გლახას ძეს ქღენტს, თავ. სამსონ ზურაბის ძეს აბაშიძეს, თავ. ალექსანდრე მიხეილის ძეს წერეთელს, თავ. სოლომონ პაატას ძე წულუკიძეს, თავ. დავით კონსტანტინეს ძეს ნიჟარაძეს, თავ. რამინ ლევანის ძეს ჩიქვანს, თავ. სარიდონ კაციას ძეს ახვლედიანს, თავ. გრიგოლ კონსტანტინეს ძეს დადიანს, თავ. ნესტორ ფარნაოზის ძეს დადიანს, თავ ალექსანდრე გიორგის ძეს მაჭუტაძეს, თავ. კონდრატ გიგოს ძეს ქორდანიას, კონსტანტინე ბეჟუკას ძეს ბერიძეს და თავ. ჯაბა სიკოს ძეს ერისთავს.

გენერალ-მაიორს სპირიდონ მაჭავარიანს უმაღლესად ებოძა წმ. მოციქულ თა-სწორის თავ. ვლადიმერის ორდენი, მეორე ხარისხისა.

როტმისტრს თავ. გვადა პაატას ძეს მიქელაძეს ებოძა წმ. სტანისლავის ორდენი, მეორე ხარისხისა.

პრაპორჩიკს აზნაურს კონსტანტინე გიორგის ძეს ჩიქვანს—წმ. ანნას ორდენი მესამე ხარისხისა.

⁂ **მოსკოვიდგან გვწერენ:** მოსკოვის სხვა-და-სხვა სასწავლებლებში ამ ჟამად 52 ქართველი ყმაწვილი სწავლობს.

ა) მოსკოვის უნივერსიტეტში 22 მსმენელია, რომელთა შორის 2 ფარმაცევტია.

სტუდენტები ფაკულტეტობით ასე განიყოფებიან: იურიდიულ ფაკულტეტზე 9 სტუდენტია (ამათგან წელს სწავლას ოთხი ათავებს), საექიმო ფაკულტეტზე—7 (წელს ერთი ათავებს სწავლას), ფილოლოგიურ ფაკულტეტზე—3 (სამივენი წელს ათავებენ), ბუნების მეცნიერების ფაკულტეტზე—1.

ბ) მოსკოვის სამეურნეო პეტროვსკის აკადემიაში 7 ქართველი სტუდენტია; ამათ შორის 5 ნამდვილი სტუდენტია, 2 თავისუფალი მსმენელი.

გ) მოსკოვის ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელში 12 ქართველი იუნკერია.

დ) მოსკოვის ტეხნიკურს სასწავლებელში 3 სტუდენტია.

ე) მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში 3 ქართველია.

ვ) მოსკოვის სამხატვრო სასწავლებელში 3.

და ზ) ორნიც მუსიკასა და სიმღერასა სწავლობენ. ერთი შესტაკოვის სამუსიკო სასწავლებელში, ხოლო მეორე, ქ-ნი მ. გ. ძნელაძისა, სახელგანთქმულ ალექსანდროვა-კოჩეტოვის ქალის ხელმძღვანელობით სწავლობს გალობას.

⁂ 6 ნოემბერს, მეხუთე განყოფილებაში, დილის ცხრა საათზე, შუა-ბაზარში, ებრაელთა ვიწრო ქუჩაზე, იპოვნეს მკვდარი კაცი. ეს კაცი ყოფილა ტფილისის მცხოვრები გორდიშევი, სამოც-და-ათის წლისა. ეს კაცი, როგორც ეტყობა, უეცრად მომკვდარა. გვამი გაუგზავნიათ მიხეილის საავადმყოფოს ანატომიურს კაბინეტში. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 6 ნოემბერს ღამით, სიონის ქუჩაზე, ქვრივის ანნა დრეიძის სადგომის ეზოდგან მოუპარავთ საცვალი ტანისამოსი და სხვა-და-სხვა ჭურჭელი, სულ 50 მანეთისა. გამოძიება სწარმოებს. ქურდის აღმოსაჩენად საჭირო ღონისძიებაა მიღებული.

⁂ იმავე დღეს, პირველს განყოფილებაში, სპარსეთის ქვეშევრდომმა ნადჟაფ-როსტომ-ოღლიმ სიმთვრალეში სრულიად უმიზეზოდ ხანჯლით დასჭრა თავისი ნაცნობი, ტფილისის მოქალაქე დავით სოვდაგაროვი. ჭრილობა მძიმე არ არის. დამნაშავე შეუპყრიათ და გამოძიება სწარმოებს.

⁂ იმავე დღეს რიყეზე მარიამ მამოევისამ, ოცის წლისამ, თავის მოკვლა განიზრახა და ამიტომ ტივიდგან გადავარდა მტკვარში. ქალი დროზე ამოიყვანეს წყლიდგან და გადაარჩინეს. საქმე სწარმოებს.

სამეურნეო საზოგადოების სხდომა

5 ამ თთვისას სამეურნეო საზოგადოებას მორიგი სხდომა ჰქონდა. უწინარეს ყოვლისა ბ-ნმა საზოგადოების თავ-მჯდომარემ წევრებს მოახსენა, რომ ბ-ნი გეევსკი, რომელიც აქამდე ითვლე-

---

აქეთ-იქით ქალაქში სიარული. ყმაწვილი იმიტომ დადიოდა, რომ ღამე გასათევი ადგილი უნდა ეშოვნა. საწყალს ადგილი ნანახი არა ჰქონდა, რომ უცბად შემოესმა ტირილი, ზრიალი ხალხისა იმ ადგილიდგან, სადაც ერთად მოეყარათ თავი და დროს ატარებდნენ ცას ქვეშ თავისუფლად. ჯერ-ჯერობით ხალხის მოულოდნელის ტირილისა და ზრიალის მიზეზი ყმაწვილმა ვერ შეიტყო. ბოლოს დროსკი, როდესაც ძლიერ დაღამდა და ღამის გასათევი ადგილიც ნახა, ყველაფერი შეიტყო და გაიგო. იმ ოჯახში, რომელშიაც ამ ღამეს ყმაწვილი დაბინავდა, სცხოვრებდა ერთი ცოლქმარი, კეთილი ხალხი. ამათ სტუმარს კარგი და ჩინებული ვახშამი გაუმართეს. როდესაც მასპინძელი და სტუმარი შუა პურის ჭამაში შევიდნენ, მოჰყვნენ თავ-თავიანთს თავ-გადასავალსა. ბევრის საუბრისა და ლაპარაკის შემდეგ ყმაწვილმა ჰკითხა მასპინძელის მეუღლეს, ცოლს, მიზეზი ხალხის უცნაურად ატირებისა და ზრიალისა. ქალმა უამბო შემდეგი: „ჩვენის სოფლის სიახლოვეს, ხვალ შენ თითონ დაინახავ, შვილო, ერთი აუღებელი ხესევე დიდი მთა არის; მთის წვერზედ ერთი დიდი გამოქვაბული კლდე იხედება. ნახვით ის ჯერ არავის უნახავს. იმ კლდეში ერთი უზარმაზარი ფრინველი ბუდობს. ის დაწყევლილი ყოველ დღე სალამოთი მოფრინდება ხოლმე, მოიტაცებს ახალგაზდას, ან ქალსა და ან ვაჟს, და გაუყენებს გზას. აი, შვილო, ამ დაკარგულს შვილებს გამოვიმგლოვებთ ხოლმე, საერთო სადილსა და პურის ჭამას ვმართავთ და ერთი-ერთმანეთს სამძიმარსა და იმედს ვაძლევთ ხოლმეო". რა ექნათო,—დაუმატა ქალმა:—ჩვენი წუთი-სოფელი ასე მიმდინარეობს: ხან ვტირით და ხან ვიცინითო.

ყმაწვილმა რომ ხალხის გაჭირება და უბედურება შეიტყო, პურის ჭამას თავი მაშინვე დაანება, საკუთარს ოთახში მოისვენა და მთელი ღამე უძილოდ ფიქრში გაათენა. როდესაც გათენდა, მშვენიერი ამინდი იდგა; ცაც მოწმენდილ-მოკაშკაშებული იყო; ამიტომ ის მაღალი მთა, რომელშიაც ხალხის მტაცებელი და ყლაპია ბოროტი ფრინველი ბუდობდა, კარგად, გარკვევით იხედებოდა. ყმაწვილმა დაინახა თუ არა ეს მთა, დიდხანს უყურა და თვალი აღარ მოაშორა. როდესაც გასინჯა მთის ღელეები, ხევები და გზები, მიჰმართა მასპინძელს ქალსა და უთხრა: ის რაც ფრინველი იქნება, მე ვიცი და რადაც მინდა თავი ცოცხალი, თუ მე ის არ მოვკალი და იმის მოკვლით ხალხი არ დავიხსენი ამდენის გაჭირებისა და მწუხარებისაგანაო. წარმოსთქვა რა ეს ყმაწვილმა, საჩქაროდ, მარდად შემოირტყა თავისი იარაღი: ხანჯალი, ხმალი, თოფი და გაემართა მთისკენ. ქალმა ბევრი უშლა ვაჟსა და ტირილიც დაიწყო, რადგანაც გამბედავი ვაჟი, მეტად ლამაზი და გულ-კეთილი, ქალს ენანებოდა და ეცოდებოდა, მაგრამ ვაჟმა თავისი არ დაიშალა და თქმა და წასვლა ერთი ჰქნა...

ბევრი იარა, თუ ცოტა, ავიდა მთის წვეროზედ და მიადგა იმ გამოქვაბულს კლდეს, რომელშიაც ფრინველი ეგულებოდა; დაჯდა კლდის სიახლოვეს, დაისვენა, მერე კვლავ თოფ-ხანჯალი მოიწყო-მოიმართა და უშიშრად გამოქვაბულში შევიდა. აქ დახვდა იმას თორმეტი ქალი, რომლებსაც ფრინველის ყვირილით გულები დახეთქოდათ და შიშით ხმას ვეღარც ერთი მათგანი ვერ იღებდა. ყმაწვილმა გამოქვაბული აათვალ-ჩაათვალიერა და კარებს უკან დაინახა კიდევ მეცამეტე მდგომარე ახალგაზდა, შეკრთომილი ყმაწვილი ქალი, რომელიც სილამაზითა და ტანადობით ბევრით სჯობდა ყმაწვილს. ახალგაზდა ქალს სხვებისებ გული არ გახეთქოდა შიშითა და ყოჩაღად იდგა კარებში. ვაჟი ლამაზის ქალის ლაპარაკში გაება და მზე ის-ის იყო ჩასვლას აპირებდა; ყმაწვილი დაღამებას ვერ იგებდა, თითქო და უფრო და უფრო გაება ლაპარაკში. ეხლა ქალიკი შიშით სულ ჰკრთოდა და ყმაწვილს პასუხს ვერ აძლევდა. ვაჟი ცოტათი დაფიქრდა და ჰკითხა: რად თრთი შიშითა და რათ კანკალებ, ნუ თუ ჩემი უნდა გეშინოდეს.—არაო", უპასუხა ქალმა: „მე შენი რისთვის უნდა მეშინოდეს; მე მეშინიან იმ წყეულის ფრინველისა, რომელიც აქ მოვა; ის ფრინველი შენ, დაგინახამს თუ არა, მოგკლამს და შეგჭამს და, თუ ღმერთი და სინიდისი გწამს, წადი დროზე აქედამა და შენს თავს უშველეო". ვაჟმა მოკლედ უპასუხა, რომ მე ფრინველის მოსვლისა არ მეშინიან, სწორედ იმის მოსაკლელად და თქვენ გამოსახსნელად მოვსულვარ აქაო. ეს ფრინველი თურმე ისეთის ხასიათისა და თვისებისა ყოფილა, რომ ვაჟებს, რამდენსაც-კი მოიყვანს აქ, სჭამს, ქალიშვილებს-კი ინახავს და ჰყავს კლდეში დამწყვდეულიო...

მზე მთას მოეფარა და კარგადაც დაბინდდა. ყმაწვილმა გაათავა ლაპარაკი ლამაზ ქალთან და ხმალ ამოღებული ჩაესაფრა ფრინველს გამოქვაბულის კარებში... ფრინველიც მოფრინდა და გარედგან საშინლად დაიწივლა. ნუ იტყვით, დიდი უზარმაზარი, ვეებერთელა არწივი თურმე ყოფილა. არწივის ყვირილზედ ერთის ქალის გარდა, რომელიც ვაჟის გვერდზედ იდგა და ღმერთს ეხვეწებოდა იმის გამარჯვებას, ყველამ შიში და კანკალი დაიწყო. შემოვიდა რა თავმომწონე ფრინველთა მეფე არწივი, დაუქნია ხმალი ყმაწვილმა და კისერი გააგდებინა... თავ-მოჭრილი არწივი ისე ღონივრად ფართხალებდა და იქნევდა ფრთებს, რომ იმისგან შეძრულის ჰაერით ქალები ერთი-ერთმანეთს ეხლებოდნენ. ყმაწვილმა მეორედაც დაუნაცვლა ხმალი და როდესაც შუაზედ გააპო, ფრინველი მაშინ-კი სრულიად გაცივდა და მოძრაობა მოესპო. არწივის თავს, რომელსაც ნახევარის კარების ადგილი დაეჭირა, კიდევ სიცოცხლე ეტყობოდა და ორჯელ-სამჯელ გადმოიბრიალა თვალის კილოები. პატარა ხანს უკან დაისვენეს რა ვაჟმა და ქალებმა, ძლივ-ძლივობით გამოათრიეს კლდიდგან არწივი და დიდს ყრუ ხრამში გადააგდეს... ფრინველს თავისის ბინის ერთ კუთხეში საბუდარი ედგა. ეს საბუდარი სულ ძვირფასის თვლებითა და მარგალიტით იყო სავსე. გამარჯვებულმა ყმაწვილმა ამოალაგა ეს ამდენი ნივთეულობა; ერთი თვალი, რომელიც ყველაზედ უკეთესი იყო, მისცა ლამაზს ქალსა და დანარჩენიკი თანასწორად გაუყო, გაუნაწილა მუქთით ყველას.

ამ ღამეს ყველანი აქ დარჩნენ, ღამე აქ გაათიეს, რადგანაც დაღამებული იყო და წასვლა არ შეიძლებოდა. გათენდა რა და მზე ამოვიდა, ყმაწვილს გამოეღვიძა, გამოვიდა გარედ, პირი დაიბანა და მერე სიამოვნებითა და თავ-მოწონებით ცქერა დაუწყო სოფლებს მაღლიდგან. როდესაც ცქერითა და ყურებით გაძღა, შევიდა გამოქვაბულში, გააღვიძა ქალები და უთხრა: მშვენიერი მზიანი დღეა, ადექით, პირები დაიბანეთ, დასუფთავდით, ტანთ ჩაიცვით და წავიდეთ ჩვენ-ჩვენს სახლშიო. ქალები ყმაწვილის სიტყვაზედ საჩქაროდ მოემზადნენ და ყმაწვილითურთ გზას გაუდგნენ. ბევრის სიარულის შემდეგ ქალები პატრონებს მიჰგვარა ყმაწვილმა, რომელთაც, რასაკვირველია, ძლიერ გაიხარეს და დიდი განუსაზღვრელი მადლობა უძღვნეს ახალგაზდა ვაჟს. გმირი და სხვის სიკეთისათვის თავდადებული ყმაწვილი, არამც თუ გამოხსნილმა ქალებმა და ამათმა პატრონებმა, მთელმა ქალაქის მცხოვრებლებმა, მთელმა ქვეყანამ, მთელმა კაცობრიობამ შეიყვარა და პატივით ეპყრობოდა; სადილი გამართეს მცხოვრებლებმა, მოჰკრიფეს კომლზედ თითო ჩანახი ოქრო და ვერცხლი და მიართვეს დიდის მუდარებითა და მადლობით ახალგაზდა გმირს. ხოლო ყმაწვილმა ისადილა რა, აიღო ამდენი ოქრო და ვერცხლი და ისევ ამ ქალაქის უფროსს მისცა და უთხრა: „ღარიბებსა და გაჭირვებულებს მოახმარეო..."

(შემდეგი იქნება)

ბოდა ამავე საზოგადოების მიერ გამართულ ტფილისის სამეურნეო სკოლის ხელმძღვანელადა და მზრუნველად, თავს ანებებს ამ თანამდებობასაო. საზოგადოების მმართველობამ ბევრი სთხოვა გეესკის, რომ კვლავ დარჩენილიყო სკოლის გამგებლად, მაგრამ აღარ ისურვა, დრო და მოცალეობა და აგრეთვე ჯანი ნებას არ მაძლევს სკოლას ვემსახუროო. ამიტომაც საზოგადოების გამგეობამ უკვე შეიწყნარა ბ-ნ გეესკის თხოვნა და იმის მაგიერ სკოლის გამგებლადა და მზრუნველად დანიშნა ბ-ნი დ. ზ. ყორღანოვიო. ეს მოხსენება სრულიად მოულოდნელი იყო საზოგადოების წევრთათვის. ბ-ნმა ვერმიშევმა ცხარედ და საფუძვლიანად ილაპარაკა შესახებ თავმჯდომარის მოხსენებისა. სხვათა შორის იმან სთქვა: საზოგადოების გამგეობას წესდების ძალით გეესკის თხოვნა უნდა მოეხსენებინა საზოგადოების საერთო სხდომისათვის. ხსენებული სკოლა გეესკის მეოხებითა და შრომით ამ ბოლო დროს მომჯობინდა, გაუკეთესდა და დიდი წარმატება დაეტყო. ამიტომ ფრიად სამწუხაროა გეესკის თხოვნა, საზოგადოება მოვალეა, რომ შეემუდაროს, სთხოვოს გეესკის, რათა კვლავაც იკისროს სკოლის გამგებლობაო. საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო ვერმიშოვის მოხსენება და ერთ-ხმად სთხოვა იმავე სხდომაზე დამსწრე გეესკის, რომ კიდევ დარჩენილიყო სკოლის მზრუნველად. ბ-ნმა გეესკიმ ბევრი იუარა, მაგრამ, როგორც იყო, დასთანხმდა.

ბ-ნმა კნ. ინანაშვილმა და ალიბეგოვმა წაიკითხეს მოხსენება ვაზის სნეულების შესახებ კახეთსა და ქართლში. მოხსენებაში ბ-ნმა ინანაშვილმა განიხილა საზოგადოდ ნაცრისა და მილდიუს ისტორია უცხოეთსა და ჩვენში. ნაცარი ჩვენში პირველად შეამჩნიეს 1853 წელსაო და მილდიუ-კი 1886 წ. მილდიუ ეხლა უკვე მოსდებია შიდა კახეთსა და გარე კახეთს. ნაცარმა და მილდიუმ წელს მუსრი აადინა კახეთის ვენახებსა და დიდი ზარალი მისცა ხალხსაო. საზოგადოდ ეს სენი უფრო მოსდებია ვენახებს ალაზნის ნაპირებზე. უფრო ნაკლებად—მთების ფერდობებისკენ. ბ-ნმა ალიბეგოვმაც მოიხსენია მრავალი ადგილები ქართლისა, სადაც მძვინვარებდა მილდიუ და ნაცარი. ხალხი ითხოვს შველასა და რჩევასაო.

ბ-ნი ვერმიშევი ითხოვდა, რომ დაუყოვნებლივ კომისია დაინიშნოს მცოდნე კაცთაგან. ამ კომისიამ წესსა და რიგში უნდა მოიყვანოს ყველა ის მასალა, რომელიც უკვე შეუგროვებია ბ-ნს გეესკის, შავროვს, ინანაშვილს და ალიბეგოვს; უნდა გამოიკვლიოს, თუ რა ღონის-ძიებით შეიძლება ბრძოლა მილდიუს წინააღმდეგაო. თავმჯდომარემ-კი შენიშნა, რომ ამ გვარი კომისია საჭირო არ არის, ეს საქმე უნდა მიენდოს სათილოქსერო კომიტეტს და ამას გარდა საჭიროა ამ თვეის 12-13 დავნიშნოთ საზოგადოების საგანგებო სხდომა და მოვიწვიოთ თავადაზნაურთა წინამძღოლნი და აგრეთვე მემამულენიც და გავიგოთ საქმის ვითარებაო. ეს უკანასკნელი აზრი საზოგადოებამ მიიღო ხმის უმეტესობით. ამავე სხდომაზედ თავ-მჯდომარემ კრებას მოახსენა, რომ გაზ. „Нов. Обоз.“ ერთ-ერთ თანამშრომელმა ცუდად მოიხსენია ჩემი თავ-მჯდომარეობაო და ამიტომ გთხოვთ განმათავისუფლოთ და ჩემზე ღირსეული კაცი აირჩიოთო. კრებამ არ შეიწყნარა ბ-ნის კუჩაევის თხოვნა და სთხოვა დარჩენილიყო საზოგადოების თავ-მჯდომარედ.

მ—ყ

◆

წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ შემდეგი წერილი დამიბეჭდოთ.

კვირა დღეს, ოც-და-ათს ოქტომბერს, იტალიის ბაღში ჭიდაობა იყო დანიშნული კულა გლდანელისა და ვიღაც გურამელისა. აფიშაში მოხსენებული იყო შემდეგი: თუ კულა გლდანელი გალახავს გურამელს, მაშინ ნესტორ ესებუას იწვევს საჭიდაოდაო. ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ მე, ღვთის შეწევნით, ოთხჯერ დავსძლიე გლდანელი და უეჭველია ამას იქით ჩემი და გლდანელის ჭიდაობა საინტერესო არ იქნება საზოგადოებისათვის. გარდა ამისა არც ჭიდაობის წესი და რიგი ნებას აძლევს გლდანელს ჭიდაობისას; ამავე წესის ძალით მე პირველსავე გამარჯვების შემდეგ შემეძლო არ დავჭიდებოდი გლდანელს. ამიტომ ვაცხადებ, რომ მე არც საჭიროდ ვრაცხ და არა კანონიერად ჩემსა და გლდანელის მეხუთედ ჭიდაობას. ეს თავის მობეზრება იქნება.

ნესტორ ესებუა

◆

უცხოეთი

საფრანგეთი. ამას წინად სორბონაში წარმოუთქვამს დიდი სიტყვა ბ-ნს ლავისს, საისტორიო განყოფილების გამგებელს, და უთქვამს სხვათა შორის შემდეგი:

„სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებმა კარგი სახელი გაითქვეს და ისტორიაშიაც საპატიო ადგილი დაიჭირეს. იმ უნივერსიტეტებსა ჰქონდათ წილად ერთად მოეყარათ თავი ერის განყოფილ ნაწილთათვის და შთაებერათ ცხოველი სული ამ გვარად აღდგენილის სხეულისათვის. ამის გამო ის უნივერსიტეტები ხარობენ და დღესასწაულობენ თავიანთ ძლევა-მოსილობას. სრული ნებაცა აქვსთ იდღესასწაულონ თავიანთი გამარჯვება. მხოლოდ ამას-კი ვიტყვით, რომ ძლევამოსილი და გამარჯვებული უფრო მეტად მშვიდი და დიდ სულოვანი უნდა იყოს. ოჯახიცა, სკოლაცა, უნივერსიტეტიც იმას ჩასჩიჩინებენ გერმანიის ახალს თაობას, რომ გძულდეთ ფრანგებიო. ახალი თაობაც დიდის ერთგულებით ირთმევს სულს ჩვენს მტრობაში; ასევე ერთგულად აქებს და ადიდებს გერმანიის ძლიერებას. ერთი ისეთი წრე არსებობს მეისტორიეთა გერმანიაში, რომელიც მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ პრუსია და გერმანია შეამკოს და აამაღლოს, ხოლო საფრანგეთი დაამციროს და, თუ შეიძლება, მიწასთან გაასწოროს. სწორედ ისინი, ვინც ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ თქვენ ჭეშმარიტებას ვერა ხედავთო, თვითონვე უჯერებენ ტყუილს. მე ვიტყვი როდისმე, რა ტყუილიც არის ეს ტყუილი. ეხლა-კი მოვიხსენიებ, რომ ის ვაჟბატონები გამოდიან და ისეთს გაზეთებში მუშაობენ, რომელნიც დიდის სიამოვნებით არწმუნებენ თავიანთს მკითხველებს: ვინც საფრანგეთში გადავა, ასე უნდა იფიქროს, ვითომც განათლებულის ქვეყნიდამ განადირებულს ქვეყანაში გადასულაო. ხომ მოგეხსენებათ, გამარჯვებულნი ისინი ბრძანდებიან და გამარჯვებულს ხომ უსაბუთოდაც უჯერებს ყველა; მერე მარტონიც ხომ არ არიან: თან ამალა მორჩილთა და ათასი კუდები ახლავთ. ამათი უსამართლო და საწყენი აზრი ეფინება ქვეყნიერობას და გერმანიის გარეშეც ჰპოულობს დამჯერესა და თანამგრძნობელს. ჩვენდა საწინააღმდეგოდ შეუდგენიათ, საპოლიტიკო კოალიციის გარდა, საზნეობო კოალიციაც. ბატონებო, საჭიროა, რომ ჩვენი სკოლებიც ისე გავამაგროთ ჩვენდა დასაცველად, როგორც საზღვრები გვაქვს გამაგრებული ჩვენის მიწა-წყლის დასაცველად. მაგრამ განა ჩვენც უნდა თავის ქებას გამოვეკიდოთ და ვიქადოთ ამპარტავნება და ძულება? არა, ეგ გრძნობანი გრძნობანია დაღუპვისა და სიკვდილისანი. სამართლიანობა და ჩვენივე ინტერესები მოითხოვს, რომ ვაღიაროთ და ვიწამოთ სხვათა საკეთე სათნოებანი და პატივიცა ვსცეთ მათთვის. სკოლამ უნდა დაგვაჯეროს, რომ ჩვენც ძალა გვაქვს, სკოლამ უნდა აგვხადოს ტყუილი ბრალი და ცილის წამება, რომელსაც გარედამ გვახვევენ თავზე, სკოლამ უნდა მოგვცეს ღონე, რომ ვებრძოლოთ ჩვენს სისუსტესა და შინაურს მტრებს. ეს მტრები არიან: საკუთარის სისუსტის გამო გაპესიმისტებულნი კაცთა-მოძულენი, მოდის აყოლით ფრთებ-შეკვეცილნი და თავ-პირ-ჩამოშვებულნი, დარდიმანდობით გარყვნილნი და სულ-დაცემულნი. საჭიროა სკოლამ მოგვითხრას, რა გააკეთა საფრანგეთმა მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის, რა მოიქმედა პოლიტიკაში, რა იღვაწა საომრად და რა იჭირნახულა კაცთ-მოყვარეობისათვის. ვინც ჩვენგანი ისტორიას ასწავლის ახალს თაობას, მოვალეა შეატყობინოს შევირდებს ნამდვილი მნიშვნელობა საფრანგეთისა ქვეყნიერობის წარმატების საქმეში. ეხლანდელი ისტორია საფრანგეთისა ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენთვის სრულიად საჭირო არ არის გვძულდეს ისინი, ვისაც ჩვენ ვსძულვართ, ან გვეჯავრებოდეს ისინი, ვისაც ჩვენ ვეჯავრებით. იგი ისტორია გვეუბნება, რომ ჩვენი თავ-მომწონე მოძულენი იქნება დღესაც მონების უღელქვეშ ყოფილიყვნენ ოთხად მოხრილნი, რომ საფრანგეთიდამ ამოვარდნილს ნიავს წელში არ გაესწორებინა ქედ-მოდრეკილნი. ამ ვაჟბატონებს მხოლოდ ჩვენი შეცდომანი ახსოვთ და სიკეთე-კი ავიწყდებათ. ნურავის ნუ წავაყვედრებთ-კი, რომ აი ჩვენ ესა და ეს სიკეთე შევძღვენითო, მაგრამ ჩვენ თვითონ-კი მოვიგონოთ ის სიკეთე, რათა მით ამაღლდეს და განმტკიცდეს სული ჩვენი.“

ინგლისი. ჩვენ ვსთქვით ამას წინად, რომ გლადსტონი ბირმინგამში მივიდა და იქ უნდა დიდი სიტყვა წარმოეთქვა ლიბერალთა კრებაზეო. გლადსტონის მისვლას ამ ქალაქში ასე ასწერს გაზ. „Daily News“-ის მოამბე:

„გლადსტონი მოვიდა და ისეთს ფერსა და იერზე იყო, რომ გაზაფხულის ნიავი გეგონებოდათ. გეგონებოდათ გაყმაწვილებულა და ან ეხლა დაბადებულა მეორედაო. გაჩერდა თუ არა მატარებელი, გლადსტონი გადმოხტა ვაგონიდამ და აჩქარებით გაეშურა ვოგზალზე მდგომ ხალხთან, რომელიც მოსულიყო იმის დასახვედრად. ყველას ხელს ართმევდა, თავს უკრავდა გულ-მოდგინებით, მხიარულად, ყოჩაღად. ვოგზალიდამ წასულს გლადსტონს ქუჩაში დიდ-ძალი ხალხი მიეგება, უკრავდა ტაშს და აღტაცებით აძლევდა სალამს. ქალაქის დარბაზში გლადსტონს კიდევ უფრო დიდ-ძალი ხალხი ელოდა. აქ გლადსტონს მიართვეს ადრესი, რომელიც დაკაზმული იყო. კაზმზე გამოესახათ გერბი ბირმინგამისა და წაეწერათ სიტყვა, რომელიც ჰნიშნავს მუდამ წინ-სვლას, გამუდმებულს წარმატებას. აი თვით ადრესის შინაარსიცა:

„სერ, დიდად გვიხარიან თქვენი მოსვლა ბირმინგამში და გულითა და სულით მოგიძღვნით სალამს. არა თუ მარტო ჩვენ, ლიბერალთა ფედერაციის წარმომადგენელნი, ვსიამოვნებთ, რომ თქვენ აქ მობრძანდით, არამედ ბევრნი სხვა ჭეშმარიტნი წარმომადგენელნი ამ ქალაქისანიც მოხარულნი არიან, რომ თქვენ გიხილვენ და თქვენის მაგალითით გამხნევდებიან. თქვენი მოთავეობა გვაგონებს წარსულს და გვავსებს იმედით მერმისის გამო. თქვენი წარსული ღვაწლი თავისუფლების წინაშე უკვე ნაწილია ჩვენის ქვეყნის ისტორიისა. გაკვირვებითა და მადლობით შევსცქერივართ დღევანდელს თქვენს მოღვაწეობასაც იმავე წმინდა საქმისათვის. იმედი გვაქვს და გვწამს კიდეც, რომ შემდეგში დიდი და უეჭველი გამარჯვება მოგელით. გვწამს და გვჯერა, რომ თქვენ ხართ წინამძღოლი ჩვენი და თქვენი აზრი ის არის, რომ დიდის სახელმწიფოს პოლიტიკამ არ უნდა აუქციოს გვერდი ქვეყნის ბევრს სხვა დიდს საქმესა და საჭიროებასაც. არ არის ისეთი საქმე და მოღვაწეობა, სალიტერატურო, საარტისტო, თუ საფილოსოფიო, რომ დიდის გულ-მოდგინებით არ მოჰკიდებოდეთ და მათ განსჯის საქმეს არ შესწევდენოდეთ თქვენის ცოდნითა და გენიოსობის შთაგონებითა. ჩვენ უფრო ის გვიხარიან, რომ ლიბერალთა პოლიტიკა, რომლის დიდი მომხრე ხართ თქვენა, დამყარებულია საყოველთაო თანაგრძნობასა და მაღალს კულტურაზე. ამიტომ მაგ პოლიტიკას შეუძლიან აღამაღლოს ხასიათი ადამიანისა, დაჰბადოს მაღალი სურვილი და დააკმაყოფილოს სულიერნი მოთხოვნილებანი ერისა. ამ 11 წლის წინად რომ აქ იყავით, მაშინ თქვენი შრომა და ღონე იმაზე იყო მიმართული, რომ ევროპას შეეწყნარებინა ერნი, მებრძოლნი თავის არსებობისათვის, და გაენთავისუფლებინა დაჩაგრულნი ქვეყნები სხვათა ბატონობისაგან. ახლა თქვენ ამავე გზას ადგახართ ჩვენთა საშინაო საქმეთა შესახებაც და გსურთ იგივე აზრები ჩვენს ქვეყანაშიაც განხორციელდეს. თქვენ გსურთ, რომ ჩვენი სამეფო გაერთიანდეს და ამ გაერთიანებას საფუძვლად დაედოს მტკიცე კავშირი თანასწორობისა და სამართლიანობისა ირლანდიის კანონიერ სურვილთა შეწყნარებითა. მაშინაც და ეხლაც ბევრი მტერი და მოწინააღმდეგე აღმოგიჩნდა, მაგრამ როგორც მაშინ, ისე ეხლაც ჩვენ ისევ შენკენა ვართ, შენ გენდობით და შენა გცემთ პატივს“.

გლადსტონმა ამ ადრესის პასუხად დიდი სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვის თქმამ გასტანა 1 საათი და 40 წუთი. ლაპარაკი მისი შეეხებოდა მრავალს სხვა-და-სხვა საგანს საშინაოსა და საგარეო პოლიტიკისას.

◆

წვრილი ამბები

მადრიდში დიდი ბასი და ლაპარაკია თურმე იმის გამო, რომ ძმის-წულს მაკ-მაგონისას თავი მოუკლავს. ეს ძმისწული ახალგაზდა ქალია, მეტად მშვენიერი, შეჰყვარებია ერთი თავ-ქარიანი უმაწვილი კაცი, ისეთი, რომელსაც იმისი შერთვა აზრად არც-კი ჰქონია, და იძულებულ ყოფილა სიცოცხლე მოესპო და თავი მოეკლა.

— ამას წინად საბერძნეთის მინისტრ-პრეზიდენტს ფინანსთა სამინისტროში უპოვნია სამი დაკეტილი და დაჟანგებული ყუთი, რომელშიაც აღმოჩენილა სარგებლიანი ქაღალდები თითქმის 13 მილიონის დრახ. ეს ფული გადარჩენია როტშილდისაგან აღებულს სესხს, რომელიც 1873 წ. გადაუხდიათ. ამას გარდა იმავე ყუთებში უპოვნია რამდენიმე პარკი ოქროს ფული და ძვირფასი საეპისკოპოსო ჯვარი. ამ ნაპოვნს ნივთებზე ამ ჟამად მთელი საბერძნეთი ლაპარაკობს თურმე და დღესაც არ იციან, თუ როდინდელი უნდა იყოს, ან ვის უნდა შეენახოს.

— როცა ამ ორმოცის წლის წინად სკრიბმა და ობერმა ოპერა დასწერეს „გუსტავი“ თუ „მასკარადი“, სკრიბმა მიჰმართა თურმე ზოგიერთთა წვლილთა განსამარტებლად პარიჟში მცხოვრებს გრაფს რიბბინგს, ერთის თანამოწილეთაგანს შვეციის მეფე გუსტავ მე-III მკვლელობაში. გრაფს დიდის ყურადღებით უდევნებია თვალი რეპეტიციისათვის და ბოლოს უთქვამს: «საქმე სულაც ეგრე არ იყო, როგორც მანდ არდგენთ; რამდენადაც მახსოვს, მეფე მარცხნივ იდგაო». სკრიბმა მადლობა გადაუხადა თურმე გრაფს და მკვლელობის სცენა სწორედ ისე შესცვალა, როგორც იმან დაარიგა.

— პარიჟის გაზეთები შემდეგს ახირებულს ქორწინებას აწერენ: ვიღაც უმაწვილი კაცი გასცნობია ერთს ახალგაზდა ქალს ატლანტის ოკეანზე, შეჰყვარებია, უთქვამს, რომ ცოლად შეგირთავო, და ისიც დათანხმებულა. მშობლების თანხმობის მისაღებად უმაწვილს კაცს წერილი მიუწერია რუსეთში, ამ წერილის პასუხი შვეციაში მიუღია, ქალის მამასაც თანხმობის წერილი მიუწერია ინგლისიდგან, შემდეგ ქორწინების პირობა ნიუ-იორკში დაუწერიათ, ხოლო თვით ქორწილი-კი ალჟირში გადაუხდიათ. ალჟირიდგან ახლად ჯვარ-დაწერილნი წასულან სადღაც და დღესაც არავინ იცის თურმე, თუ სად არიან და სად არა.

— ერთი სასაცილო საქმე კიდევ ამას წინად პარიჟის სასამართლოს გაურჩევია. აი ეს საქმე: ვიღაც ლანდლს განუზრახავს ცოლის შერთვა და სახეში რომ არავინ ჰყოლია, მიუმართავს „ქორწინების ბიუროსათვის“, რომელსაც თავისის მხრივ რამდენიმე უმაწვილი ქალი დაუსახელებია. ლანდლს რიგისათვისაც ამ დასახელებულს ქალებში არავინ მოსწონებია, ამიტომ „ბიუროსათვის“ თავი დაუნებებია და, სხვათა შორის, საგასამრჯელო არ გადაუხდია. ბიუროს პატრონს რამდენჯერმე მოუგონებია ეს ამბავი, ბოლოს სასამართლოში უჩივლია, რომელშიაც შემდეგი ახირებული ანგარიში წარუდგენია: 1) იმის მოფიქრებაში, თუ რა ნაირი ქალი, რა ხნისა, რა ხასიათისა და განათლებისა გამოადგება ცოლად ბ-ნს ლანდლს, მერგება 7 მან. 20 კაპ.; 2) ბ-ნის კ—ს დათანხმებაში, რომ თავისი ქალი მიეცა ბ-ნის ლანდლისათვის, რომელმაც ბოლოს თითონვე არ ინდომა ეს ქალი, უნდა მომეცეს 6 მან.; 3) მიწერ-მოწერა ქ-ნ რ—სთან, მდიდარის ოქრომჭედლის ქალთან, რომელიც ჩემთან მოვიდა და ბ-ნმა ლანდლმა-კი უმტყუნა მიღირს 4 მან. 80 კაპ.; 4) ქ-ნის, რ—ს წასაყვან-მოსაყვანად ეტლის დაჭერა დამიჯდა 2 მან. 40 კაპ.; 5) წერილი ბ-ნ ლანდლთან, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრდელი გუწოდე,—1 მან. 20 კაპ., სულ 23 მან. 60 კაპ. სასამართლოს ეს ფული გადაუხდევინებია ბ-ნის ლანდლისათვის.

◆◆

ახალი ისტორია საქართველოსი

თხზ. დ. ბაქრაძისა.

დასასრული*)

XVI

საქართველოს სურათი: გეოგრაფიული, პოლიტიკური და სოციალური დროთა მსვლელობაში ვიდრე XI საუკუნემდე.

I ამ საგნების წყაროები.—ისტორიულ-გეოგრაფიულნი სახელ-წოდებანი საქართველოსანი.

II უმაღლესი გამგეობა: მამასახლისი, შემდეგ მეფე.—მეფის დაგვირგვინება.—მეფის ქორწინება.—ხელმწიფობა.—მემკვიდრე.—უფლის-წულნი.—ტაძრეულნი.—სეფე-წულნი მეფისანი.—სეფე-ქალნი დედოფლისანი.—სამეფო საგანძური.—წესი დარბაზობისა.—გლოვა მეფის სიკვდილზე.—იმის გვამის შემურვა და დაკრძალვა, ანუ დასაფლავება:

III უმაღლესი ხელისუფლება: ხელის-უფალთა სახელწოდებანი, ქართულნი და უცხოელთაგან შეთვისებულნი.—კათალიკოზი.—სამღვდელო.—იერარხიული რიგი.—მამა-დედათა მონასტრები: ფიჩვოსანნი; მემზგეფსენი; მეტრაპეზენი; ენკრატისნი (დედათა მონაზონნი).—მონასტრების ისტორიული მნიშვნელობა.

IV მაღალი და დაბალი წოდება: დიდებულნი.—აზნაურნი.—გლეხნი.—იმათი ურთიერთი დამოკიდებულება.—რა გვარ ბატონ-ყმობას ვპოულობთ იმ დროს.

V სამსჯავრო ანუ საბჭო: საერო და სასულიერო.—საბჭო საგნები.—სისხლი.—რა გვარნი სასჯელნი არიან ხმარებაში.—სახელმწიფო ხარჯი ანუ ხარაჯა.—ბეგარა.—ფული: სათასე, დრამა, დრაჰკანი.

XVII

იგივე საგანი—შემდეგი.

I მხედრობა: სხვა და სხვა საომარი იარაღი.—პალანკურტი ანუ ფალაკავანი „ქვის მტყორცელი“ მანქანი (მაშინა).—მთხრებლი.—დროშა.—რაზმი და ლაშქარი.—წინამძღვარი ანუ სპასპეტი.—მხედარი და ქვეითი ანუ მკვირცხლი.—წინა-მავალნი.—უკანა-მავალნი.—წესი ბრძოლისა.—ბუმბერაზობა.

II კულტურა.—სასწავლებლები საქართველოში და საქართველოს გარედ.—იმათი ხასიათი.—ასტრონომიულნი ცნობანი რა გვარნი.—დროთა თვლა.—ზომა სივრცისა.—მკურნალობა: ექიმი და დოსტაქარი, ანუ ჭრილობის მკურნალი.—ქსენონნი, ანუ სამკურნალონი.—ენის წარმატება.—მწიგნობრობა.—ხრონიკები.—სიგლები და გუჯრები.—გუჯრებში აღწერილნი „მეფენი და წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით“.—თარგმანნი: სად და სად, რა და რა გვარნი.—ხუროთ-მოძღვრობა.—ციხე-სიმაგრეები.—ტაძრები.—სკულპტურა ანუ საქანდაკო ხელოვნობა.—კერა-ქსოვა.—სტავრანი და ოქსინონნი.—მხატვრობა.—საეკლესიო მგალობლობა.—მეურნეობა.—მიწის მუშაობა.—არხები; შარა-გზები; ხიდები.—ხელოსნობა.—აღებ-მიცემობა.

III ქართველნი.—ქართული ტიპი.—ბუნება ანუ ხასიათი ქართველისა განსხვავებული თემ-თემებად.—ყოფა-ცხოვრება.—ტანსაცმელი.—საცხოვრებელი შენობები.—ავეჯეულობა.—ოჯახი: აღზრდა მამრთა და მდედრთა.—სახლოსნობა.—დროს გატარება.—სიმღერა და სამუსიკო იარაღები.—ზნე-ჩვეულებანი და ამაო-რწმუნებანი.

დასასრული პირველის ნაწილისა.

◆

დეპეშა

6 ნოემბერი

პეტერბურგი. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე დანიშნულია საბერძნეთის პრინცესა ალექსანდრაზეო.

გზათა მინისტრი პოსიეტი, მისისავე თხოვნისამებრ, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან და დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

ს.-პეტერბურგის ბირჟა: ტფილისისა და ქუთაისის გირავნობის ფურცლებს აფასებენ 18 და 27 წ. 97 მან. 50 კაპ., 43 წ.—97 მან. ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ობლიგაციები იყიდება 81 მან.

პეტერბურგის ბირჟა, 4 ნოემბ.

	მყიდველთა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— „	— „	7 84
ტამოჟნის კუპონები	— „	— „	157
მანათიანი ვერცხლის ფული	1 18	— „	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	$271\frac{3}{4}$
—მეორისა	$241\frac{1}{2}$	— „	— „
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ნოემბერი 30 დღით არის

8 დღე სამშაბათი. წმ. მიხეილისა და სხ. აგრეთვე მართასი და მარიამისა. კათოლ. ევ. გოდფრიდისა. სომეხ. წმ. მოწ. დიმიტრისა და ვასილისკესი. მაჰმად. მე-16 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—55, ჩადის 4—36. მთვარე 17 დღისაა.

9 დღე ოთხშაბათი. მოწ. ონისიფორესი, პორფირიასი და ალექსანდრესი. კათ. ურსინასი და ჰუგონისა. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-17 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—56, ჩადის 4—36. მთვარე 18 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა.	$3\frac{1}{2}$ „
„ 2 „	3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 „
„ „ 2—	4 „
„ „ 3 „	$3\frac{1}{2}$ „
ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა	5 „
მე-2 ხარისხისა	4
მე-3 —	„ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 „
„ 2 „	7 „
სუკი	14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 „
ღორის ხორცი	8 „
„ 2 „	7 „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

მიმოსვლა რკინის გზის

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათი.	წამი.	საათი.	წამი.		საათი.	წამი.	საათი.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	49	ბათუმი	—	—	8	4
ავჭალა	9	9	9	11	ქობულეთი	8	54	8	57
მცხეთა	9	32	9	40	ნატანები	9	25	9	29
ქსანი	10	03	10	05	სუფსა	9	55	10	2
კასპი	10	33	10	36	ლანჩხუთი	10	35	10	39
გრაკალი	10	59	11	1	ნიგოითი	10	51	10	53
გორი	11	25	11	40	საჯავახო	11	14	11	16
ქარელი	12	08	12	11	სამტრედია	11	33	11	51
გომი	12	37	12	41	კოპიტნარი	12	13	12	16
ხაშური	1	02	1	17	რიონი	12	47	1	2
სურამი	1	29	1	32	აჯამეთი	1	15	1	18
ფონი	2	—	2	03	ყვირილა	1	58	2	10
ბეჟათუბანი	2	56	3	16	ძირულა	2	48	2	50
მარელისი	3	45	3	48	ბელაგორი	3	17	3	20
ბელაგორი	4	15	4	18	მარელისი	3	47	3	49
ძირულა	4	45	4	48	ბეჟათუბანი	4	18	4	37
ყვირილა	5	26	5	40	ფონი	5	30	5	34
აჯამეთი	6	14	6	16		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	2	6	5
რიონი	6	29	6	44	ხაშური	6	17	6	32
კოპიტნარი	7	08	7	10	გომი	6	50	6	54
სამტრედია	7	29	7	49	ქარელი	7	16	7	19
საჯავახო	8	05	8	07	გორი	7	44	7	54
ნიგოითი	8	27	8	30	გრაკალი	8	15	8	17
ლანჩხუთი	8	42	8	46	კასპი	8	40	8	43
სუფსა	9	19	9	27	ქსანი	9	7	9	39
ნატანები	9	52	9	55	მცხეთა	9	28	9	34
ქობულეთი	10	22	10	25	ავჭალა	9	52	9	54
ბათუმი	11	13	—	—	ტფილისი	10	15	10	46

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

	დლისით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	21	სურამი	—	—	2	59
ავჭალა	3	46	3	49	ხაშური	3	11	3	27
მცხეთა	4	19	4	25	გომი	3	50	3	55
ქსანი	4	49	4	52	ქარელი	4	24	4	31
კასპი	5	24	5	29	გორი	5	4	5	19
გრაკალი	6	—	6	3	გრაკალი	5	46	5	51
	საღამოთი					დილით			
გორი	6	31	6	45	კასპი	6	18	6	24
ქარელი	7	18	7	24	ქსანი	6	55	6	59
გომი	7	53	8	1	მცხეთა	7	24	7	32
ხაშური	8	24	8	38	ავჭალა	7	55	7	58
სურამი	8	—	—	50	ტფილისი	8	24	—	—

განცხადებანი

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე

მამული ვორონცოვისა

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით.

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე ვასილის ძეს ეპიუტინს. (24—7)

ქართული წიგნი

სარკე

კაცის შინაგანის ცხოვრებისა, რომლის შემწეობით თვითოეულს შეუძლიან გასწორება თვისის სულიერ მდგომარეობისა.

ათის მხატვრობით.

გამოცემული ათონის ქართველთა იოანე ღვთის-მეტყველის სავანისა.

ფასი 50 კაპ.

ისყიდება ტფილისში, „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, და ქუთაისში, ძმათა ჭილაძეთა მაღაზიაში. (5—5)

იძლევა ქირით

სარდაფი (პოდვალი), საპერნის ქუჩაზედ, № 4, ექვ. ხელაძის სტამბის ქვეშ, მთავარ-მართებლის თანაშემწის სადგურის გვერდზედ.

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

მამიდა ასეათი

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან	,,	40
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ.	,,	15
ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ვ. კვიცარიძისა	›	40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ.	1	50
II ნაწ.	1	50
ბუნების მოელენანი, ს. მესტიაშვილისა	„	15
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა.	„	40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ.	,,	30
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა	,,	50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც.	3	„
მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა	„	25
გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა	„	25
საიბიკონი, რ. ხუნდაძისა.	1	„
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა.	,,	40
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა	„	15
გულივერის მოგზაურობა	„	50
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	,,	20
ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ	,,	50
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე)	„	35
ვაზის ობი.	„	10
მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი	„	30
ლოცვანი, ღამბაშიძისა	„	30
სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან.	„	5
მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა	„	5

---

*) იხ. „ივერია“ №№ 231, 232 და 233.

Дов. ценз. Тифлисъ, 6-го Ноября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე